

თჰუ

სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №7

თბილისი

28 ივნისი 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი;
2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი;
3. პროფ. არჩილ ლორია;
4. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე;
5. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე;
6. უფრ. მასწ. ლ. ფაფიაშვილი;
7. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე;
8. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილი;
9. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე;
10. უფრ. მასწ. მაია ივანიძე;
11. სტუდენტი ალექსანდრე გოჯიაშვილი;
12. სტუდენტი დავით ჭონქაძე

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

ანა ხვედელიძისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ (მომხს. კ. ყურაშვილი)

მოისმინეს:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თჰუ რექტორის 2014 წლის 12 ივნისის N 44/ 05 ბრძანებით სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ ანა ხვედელიძეს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი ფინანსური ვალდებულების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევის გამო. მიმდინარე მომენტისთვის ა. ხვედელიძემ დაფარა მთლიანი წლის სწავლის საფასური (თჰუ ბულალტრის 2014 წლის 28 ივნისის სამსახურებრივი ბარათი). აქედან გამომდინარე და ა. ხვედელიძის პირადი განცხადების საფუძველზე მიზანშეწონილია, მას აღუდგეს სტუდენტის სტატუსი და მიეცეს საშუალება დღესვე ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში, ვინაიდან შესაძლებელია დასკვნითი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სასწავლო დისციპლინაში კრედიტის მოპოვება.

აზრი გამოთქვა: მასწ. ნ. ნიჟარაძემ

გადაწყვეტის:

1. 2014 წლის 28 ივნისიდან სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ ანა ხვედელიძეს ანააღუდგეს სტუდენტის სტატუსი;
2. ნება დაერთოს ანა ხვედელიძეს 2014 წლის 28 ივნისს (სემესტრის დასრულების ბოლო დღეს) ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ე. ირემაძე